საექსპერტო დასკვნა

III კლასს დაქვემდებარებული, სასტუმროს შენობის პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ანტონ ჩეხოვის ქ. №20 და ისნის ქ. №21, (ს/კ 01.17.01.115.002).
პროექტის შემსრულებელი საპროექტო ორგანიზაცია **შპს „არქიკოლეგიუმი“**.
პროექტის მთ. არქიტექტორი – თ. მურვანიძე.
ავტორები – თ. ქსოვრელი, ა. ლომსაძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი მ. ბაკურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიზანს წარმოადგენს 14 ნომრიანი სასტუმროს შენობის დაგეგმარება კაფე-რესტორნით და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სხვა სათავსოებით, თანამედროვე სტანდარტებისა და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ავლაბარში. ნაკვეთი წარმოქმნილია 2 საკადასტრო ერთეულის გაერთიანების შედეგად (ანტონ ჩეხოვის ქ. №20 და ისნის ქ. №21). საკადასტრო გეგმის მონაცემებით მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 401 კვ.მ-ს. მას სამხრეთით ემიჯნება ანტონ ჩეხოვის ქუჩა, ჩრდილოეთით – ისნის ქუჩა, ხოლო დანარჩენ მხარეს კერძო ნაკვეთები. რელიეფი უმნიშვნელოდ ქანობიანია. ტერიტორია მოქცეულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში (ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა 1). მასზე, ასევე, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3. მიმდებარე განაშენიანება

ძირითადად წარმოადგენს 1, 2 და 3 სართულიან შენობებს, თუმცა ნაკვეთის სიახლოვეს განთავსებულია უფრო დიდი სართულიანობის შენობებიც.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

შენობის დაპროექტებას საფუძვლად დაედო "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" მოთხოვნები, ასევე, ისტორიულ განაშენიანებასთან შეთავსების აუცილებლობა.
შენობას კონსტრუქციულად გააჩნია 4 სართული, ამათგან -3.100 ნიშნულზე განთავსებული სართული მიწისქვეშაა, ხოლო ბოლო სართული დათმობილი აქვს ტერასას და დამხმარე სათავსოებს. ტერასაზე ამოსასვლელი კიბის უჯრედის სიმაღლე 2,29 მეტრია და კ2 კოეფიციენტში შედის 1/2-ით. შენობის ძირითადი შესასვლელი 0.000 ნიშნულზეა, რომელიც გათანაბრებულია ისნის ქუჩის ნიშნულთან, ასევე, მისაწვდომობა ხორციელდება ანტონ ჩეხოვის ქუჩის მხრიდანაც. წესების მიხედვით შენობას არ მოეთხოვება ლიფტი, ვინაიდან, მთავარი შესასვლელიდან (0.000 ნიშნული) სართულების რაოდენობა არ აღემატება 3-ს, თუმცა შენობაში მოწყობილია შედარებით მცირე გაბარიტების ლიფტი. -3.100 სართული ეთმობა სამზარეულოს და დამხმარე სათავსებს, ასევე სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სამყოფ სათავსებს. პირველ სართულზე განლაგებულია ვესტიბიული-ადმინისტრაცია, კაფე-რესტორანი და დამხმარე სათავსო, დანარჩენ სართულებზე განლაგებულია სასტუმროს ნომრები. შშმ პირთათვის გათვალისწინებულია ერთი ნომერი მეორე სართულზე. შენობას აქვს 2 კიბე, რომლებიც მოწყობილია ნორმების დაცვით.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

საპროექტო შენობის სტრქუქტურული ელემენტები რკინა-ბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სისტემაა. საძირკველი წარმოადგენს მონოლითურ ფილას. შენობის ძირითადი სტრქუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასს, დიაფრაგმებით და არმირებული ბეტონის კედლებით, სახურავი არის ბრტყელი გადახურვა.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009წ. 24 მარტის №57 დადგენილება;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წ. 24 მაისის №14-39 დადგენილება;

საქართველოს მთავრობის 2016წ. 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 401.0 კვ.მ
განაშენიანების ფართობი – 253.2 კვ.მ
საერთო ფართობი – 886.8 კვ.მ
მათ შორის:

სასტუმროს ნომრების ფართობი – 267.7 კვ.მ
საზაფხულო ფართობი – 176.7 კვ.მ
კაფე-სამზარეულოს ფართობი – 188.6 კვ.მ
ადმინისტრაციის ფართობი – 51.9 კვ.მ
სასაწყობო ფართობი – 32.8 კვ.მ
დამხმარე ფართობი – 19.1 კვ.მ
კიბეების ფართობი – 70.7 კვ.მ
დერეფნის ფართობი – 79.3 კვ.მ

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე – 16.57 მ
მათ შორის:
0.00 ნიშნულს ზემოთ – 12.87 მ
0.00 ნიშნულს ქვემოთ – 3.7 მ

შენობა-ნაგებობის სამშენებლო მოცულობა – 2800 კუბ.მ
მათ შორის:
0.00 ნიშნულს ზემოთ – 2000 კუბ.მ
0.00 ნიშნულს ქვემოთ – 800 კუბ.მ

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია სასტუმროს შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა, სამი მიწის დონის ზედა სართულით და ნაწილობრივ გამოყენებული სახურავით. პროექტში გამოყენებულია **საქმიანი (სქ)**, **საცხოვრებელი (სც-1)**, **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები.
დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304**, **310**, **311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.10** ნიშნული) განთავსებულია სამზარეულო, პერსონალის სასადილო, გასახდელები (სან-კვანძებით), საუთაო ოთახი, სამრეცხაო-საშრობი ოთახი, საწყობები, დამხმარე სათავსო და ელ. დანადგარების ოთახი, საერთო ფართობით **147.4 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=36**. მათ შორის:

<u>სამზარეულო და სასადილო</u>, როგორც თავშეყრისათვის გამოყენებული მცირე სივრცეები, **303.1.2 ქვეთავის** შესაბამისად, ფართობის და დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით (ფართობი **70 მ^2**-ზე ნაკლები და დაკავებულობის დატვირთვა **50**-ზე ნაკლები), უნდა კლასიფიცირდეს, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა. მათ შორის:

<u>სამზარეულო</u>, ფართობით **35.4 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2.**

<u>სასადილო</u>, ფართობით **27.8 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=20**.

გასახდელები (სან-კვანძებით), საუთაო და სამრეცხაო-საშრობი ოთახები, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)**ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **44.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=8.**

საწყობები, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც საშუალო საფრთხის შემცველი **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **32.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4.**

დამხმარე სათავსო და ელ. დანადგარების ოთახი, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **7.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2.**

პირველ სართულზე (**0.00** ნიშნული) განთავსებულია: ვესტიბიული-ადმინისტრაცია, დამხმარე სათავსო, სამზარეულო და კაფე-რესტორანი, საერთო ფართობით **118.7 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=50**. მათ შორის:

ვესტიბიული-ადმინისტრაცია, **304.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **51.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6.**

დამხმარე სათავსო, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **4.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

სამზარეულო და კაფე-რესტორანი, როგორც თავშეყრისათვის გამოყენებული მცირე სივრცეები, **303.1.2 ქვეთავის** შესაბამისად, ფართობის და დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით (ფართობი **70 მ²**-ზე ნაკლები და დაკავებულობის დატვირთვა **50**-ზე ნაკლები), უნდა კლასიფიცირდეს, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა. მათ შორის:

სამზარეულო, ფართობით **4.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

კაფე-რესტორანი, ფართობით **58.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=42**.

მეორე და **მესამე სართულებზე** (**3.40** და **6.60** ნიშნ.) განთავსებულია:

სასტუმროს ნომრები, **310.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებული, როგორც **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფის დაკავებულობა და დამლაგებლის ოთახი, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებული, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა. მათ შორის:

მეორე სართულზე (**3.40** ნიშნული):

სასტუმროს ნომრები (7 ნომერი), საერთო ფართობით **133.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=10**.

დამლაგებლის ოთახი, ფართობით **1.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

მესამე სართულზე (**6.60** ნიშნული):

სასტუმროს ნომრები (7 ნომერი), საერთო ფართობით **133.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=10**.

დამლაგებლის ოთახი, ფართობით **1.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

სახურავის ტერასაზე (**9.80** ნიშნული) განთავსებულია:

გენერატორის სათავსო, დამლაგებლის ოთახი, წყლის ტუმბოს სადგურის და გათბობა-გაგრილების აგრეგატების სივრცეები, როგორც **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **25.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4** (ფართობი გამოყენებულია **1509.2.3 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად).

(ვინაიდან, საპროექტო შენობის სახურავსზედა შემოზღუდული ნაგებობების საერთო ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის **1/3-ს,** ასეთი შემოზღუდული ნაგებობების გათვალისწინება სართულების რაოდენობის განსაზღვრისას საჭირო არ არის, **1509.2.2 ქვეთავის** მიხედვით).

შემოთავაზებული ფართობების ჯამი – 562.2 მ^2.
დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი – დდ=112.

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - B ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობისთვის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, **601 ცხრილის** და **704.10 ქვეთავის** მიერ მოთხოვნილია **2 საათიანი** ცეცხლმედეგობის, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში.

601 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ, მითითებულია **602 ცხრილის**

მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით, ცეცხლმედეგობის ხარისხი **1 საათია** მოთხოვნილი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია **1 საათი**, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს.

პროექტის მიხედვით, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული

რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა) **2-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილში I-B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I-B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია **სიმაღლე 48.8 მ**, ხოლო დაკავებულობების მიხედვით:
სქ დაკავებულობისთვის – **სართული 11**, ფართობი **შეუზღუდავი**;
სც-1 დაკავებულობისთვის – **სართული 11**, ფართობი **შეუზღუდავი**;
სწ-1 დაკავებულობისთვის – **სართული 11**, ფართობი **4460 მ^2**;
დს დაკავებულობისთვის – **სართული 5**, ფართობი **3300 მ^2**;
ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის – სიმაღლე **6.5 მ**, სართული **2** და ფართობი (107.2+114.5)=**221.7 მ^2**;
სც-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის – სიმაღლე **6.4 მ**, სართული **2** და ფართობი (133.8+133.9)=**267.7 მ^2**;

სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის – სიმაღლე **3.1 მ**, სართული **1** და ფართობი **32.8 მ²**;
დს ჯგუფის დაკავებულობისთვის – სიმაღლე **15.2 მ**, სართული **4+** სახურავის ტერასა და ფართობი (7.4+4.2+1.6+1.6+25.2)=**40.0 მ²**;

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **3**-სართულიანია მიწის ზემოთ (ნაწილობრივ გამოყენებული სახურავით), სიმაღლით – **12.60 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **9.80 მ**, განაშენიანების ფართობით – **253.2 მ²** და საერთო ფართობით – **886.8 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა და სამი მიწის დონის ზედა სართულით, მარტივ რელიეფზეა განთავსებული. შენობაში მოწყობილია ერთი ლიფტი და ორი კიბე (შიგა და გარე). შიგა კიბის უჯრედი აკავშირებს ყველა სართულს, ხოლო ლიფტი და გარე ლითონის სპირალური კიბე ემსახურება მხოლოდ მიწის დონის ზედა სართულებს. ორივე კიბე და ლიფტი ადის სახურავის ტერასაზე (**9.80** ნიშნ.).

შენობიდან გასვლა შესაძლებელია პირველი სართულის **0.00** ნიშნულიდან ვესტიბიულის გავლით, „ა–ე“ ფასადის მხრიდან, ხოლო პირველ სართულზე

განთავსებულ **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობებიდან – დამატებითი დამოუკიდებელი გასასვლელებით, „**1–3**“ და „**3–1**“ ფასადების მხრიდან, საიდანაც დაკავებული სივრცეებიდან გასვლა ხდება პირდაპირ შენობის გარეთ **0.00** ნიშნულიდან შესაბამისად, **-0.28** და **0.00** ნიშნულებზე.

შენობის მთავარ გასასვლელთან, **„ბ–ე“** ღერძების მხრიდან, მოწყობილია **5.93 %-**ანი ქანობის პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **-0.28** ნიშნულზე, შესაბამისად, მისაწვდომია (შშმ) პირებისთვის.

მიწის დონის ქვედა სართული (**-3.10** ნიშნ.), რომელიც მდებარეობს მიწის დონიდან ერთი სართულით ქვემოთ, ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე ემსახურება, **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად და წარმოდგენილია გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური სავალი მანძილით **24.8** მეტრი (**სქ** და **სწ-1** დაკავებულობებიდან), ხოლო **22.3** მეტრი (**დს** დაკავებულობიდან), **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნების შესაბამისად. გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი **19.6** მეტრია, რაც არ აღემატება გასასვლელი საშუალებების საერთო ბილიკისათვის **1014.3 ცხრილში** განსაზღვრულ მანძილს (ავტოსაშხეფი სისტემით მთლიანად აღჭურვილ შენობაში).

პირველი სართული (**0.00** ნიშნ.) წარმოდგენილია ოთხი გასასვლელის გზა-კარით და გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური სავალი მანძილით **13.8** მეტრი, **1021.2(2) ცხრილის** მოთხოვნის შესაბამისად.

II და **III სართულები** (**3.40** და **6.60** ნიშნ.) წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით (შიგა და გარე) და გასასვლელთან მისადგომის მაქსიმალური სავალი მანძილით **20** მეტრი. გასასვლელებს შორის გამმიჯნავი მანძილი **8.4** მეტრია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**25.3** მეტრის) **1/3**-ზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისი 2-**ის შესაბამისად.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, ავტოსაშხეფი სისტემით, დაშვებულია:

სც და **სწ-1** ჯგუფისთვის – **75** მეტრი;
სქ ჯგუფისთვის – **90** მეტრი;
დს ჯგუფისთვის – **120** მეტრი;

ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **24.8** მეტრი;
სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **24.8** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **22.3** მეტრი;
საცხოვრებელი (სც-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **20** მეტრი.

1027.5 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, შენობიდან გამოსასვლელი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე (**90 სმ**) განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია **1.05** მეტრი სიგანის შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30** სმ-ია, შვეული სიბრტყისა კი – **17** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით, ხოლო გარე გასასვლელის სპირალური გზა-კიბე აკმაყოფილებს **1009.12 ქვეთავის გამონაკლისის** მოთხოვნებს.

გზა-კიბეებში შემავალი გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით, გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმის (1 სთ) ტოლი – 1 საათი.
დერეფნის მინიმალური სიგანე (**90 სმ**) განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე მეტი, **1.3** მეტრი სიგანის დერეფნები, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე **(0.82 მ)** განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი გზა-კარის მინიმალური სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს ყველა სართულზე, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

1701.5 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, საპროექტო შენობას არ მოეთხოვება ლიფტის მოწყობა, მიუხედავად ამისა, საპროექტო შენობაში დაყენებულია ერთი მცირე ზომის (არა აუცილებელი) ლიფტი, რომელიც ემსახურება მიწის დონის ზედა სართულებს. ლიფტის შახტის ზომებია: 1.80 მ x 1.90 მ, ხოლო კაბინის – 1.50 მ x 1.50 მ. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან.

მე-11 თავის მოთხოვნების შესაბამისად გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.

შენობის შესასვლელთან, მიწის დონის **-0.28** ნიშნულზე, **1010 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი **5.93 %-**ანი ქანობის პანდუსი უზრუნველყოფს **შშმ** პირის შენობაში შესვლის, სასურველი დანიშნულების მქონე სივრცეებში შესვლა-გამოსვლის და შენობიდან გამოსვლის შესაძლებლობას, რაც აკმაყოფილებს **1103.2.3 ქვეთავის** მოთხოვნას.
<u>პანდუსის ზომებია</u>: სიგრძე **6,07 მ** და შეუღლი ამაღლება **36 სმ**.

მეორე და **მესამე სართულებზე** შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავებში გათვალისწინებულია <u>თავშესაფრის ფართობის</u> მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთ **1,10 მ x 1,40 მ** სივრცეს **შშმ** პირისთვის, **1007.6 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

შენობაში განთავსებული **საცხოვრებელი (სც-1)** ჯგუფის დაკავებულობის **14** საძინებელი ერთეულიდან **1** მისაწვდომია წარმოდგენილი, რაც აკმაყოფილებს **1107.6.1.1 ცხრილის** აუცილებელ მოთხოვნას.

მისაწვდომ სასტუმროს ნომერში განთავსებული, <u>**ICC A117.1** ნორმების გათვალისწინებით მოწყობილი შშმ პირთა ერთადგილიანი სააბაზანო-ტუალეტი (ფართობი – 6,10 მ^2, ზომა 2,00 მ x 3,05 მ) უზრუნველყოფს მინიმალურ მოთხოვნებს უნარშეზღუდულთათვის და ასევე, აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის გამონაკლისი 3-**ის მოთხოვნებს მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტებთან მიმართებაში.</u>

პროექტში გათვალისწინებულია ლიფტის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირების მისაწვდომობას შენობის მიწის დონის ზედა სართულებზე.

<u>შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **1**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით) განსაზღვრულ მინიმუმს (1 სთ) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა და შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ 1,5-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

705.8 ცხრილის თანახმად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, <u>დაუცველი საშხეფებით</u>, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>**3 – 1 ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **4,54** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **75 %**, ხოლო წარმოდგენილია **60 %**.

<u>**1 – 2’ ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **5,31** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **75 %**, ხოლო წარმოდგენილია **25 %**.

<u>**ა – გ ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **3,67** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **8 %**.

<u>**გ – დ ღერძებში**</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **11,98** მეტრია, ღიობების ფართობი **შეუზღუდავია**, ხოლო წარმოდგენილია **28 %**.

<u>დ – ე ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0,75** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

<u>ე – ა ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0,44** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

<u>გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

1505.1 ცხრილის შესაბამისად, **I - B** ტიპის კონსტრუქციის შენობა-ნაგებობებისთვის ნებადართულია **B** კლასის სახურავის ანაწყობების გამოყენება. საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა.

1009.16 ქვეთავის („სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო, მესამე სართულიდან შიგა და გარე გზა-კიბეები გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე (9.80 ნიშნ.), სადაც გათვალისწინებულია კიბის უჯრედის ამოსასვლელის, ლიფტის და დამხმარე სათავსების მოწყობა.

შენობა გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე.

ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების და სახურავის ზედაპირზე

არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1502.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია ოთხი შრეული დაკავებულობა: **საქმიანი (სქ), საცხოვრებელი (სც-1), სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით **(ცხრილი 508.4)** და **2**-საათიანი თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** და **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

1009.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი პროექტით წარმოდგენილია **2** საათი.

1023.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, გასასვლელის გზა-დერეფნის შემომზღუდავი კედლების, ცეცხლმედეგობის ხარისხი **1**-საათია.

1018.1 ქვეთავის მიხედვით, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

შენობაში მოწყობილი ლიფტის, მცირე ტვირთამწის (სამზარეულოს ლიფტის) და სავენტილაციო შახტები, ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.2.8 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905.3.1 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო მილდგარების სისტემით. სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები მდებარეობს ყველა სართულის დერეფანში, **905.4 ქვეთავის** შესაბამისად.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის კიბის უჯრედსა და დერეფანში.

907 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

907.2.8.1 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების დაყენება მთელ შენობაში საჭირო არ არის, თუ შენობა მთლიანად აღჭურვილია **903 ქვეთავის** შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.

907.2.11.1 ქვეთავის მიხედვით, **სც-1** ჯგუფში კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- მრავალბლოკიანი მოწყობილობები განთავსებულია საძინებელ ფართობებზე და გასასვლელი საშუალებების სისტემაში შემავალ გზაზე მდებარე ყველა ოთახში, საძინებელი ფართობიდან საძინებელი ერთეულისკენ მიმავალ კარამდე.

907.5.2.3.3 ქვეთავის მოთხოვნით და **907.5.2.3.3 ცხრილის** შესაბამისად, საპროექტო შენობის **სც-1** ჯგუფში საძინებელი ერთეულების საერთო რაოდენობის (**14** ერთეული) გათვალისწინებით განთავსებულია

ორი მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობა, რომელიც აქტიურდება როგორც ოთახის კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის მოწყობილობით, ისე შენობის სახანძრო განგაშის სისტემით.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა არ საჭიროებს საავარიო განგაშის სისტემებით აღჭურვას.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემების მოწყობა.
კიბის უჯრედში, როგორც კვამლისაგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში, დაყენებულია თვითიკეტებადი კარი, **909.20.2.1 ქვეთავის** შესაბამისად.
კიბის უჯრედი და დერეფნები უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, ხოლო ლიფტი მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემით.

912.2 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობის „1–3“ ფასადის მხრიდან, სავალი გზის გასწვრივ, გათვალისწინებულია გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე დამონტაჟებული სახანძრო ჰიდრანტის განთავსება.

913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობის სახურავზე განთავსებულია სახანძრო წყლის ტუმბოს სადგური/რეზერვუარი.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია საპროექტო შენობის **სქ**, **სწ-1**, **დს** და **სც-1** დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი

დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

<u>მიწის დონის ქვედა სართულზე</u> (**-3.10** ნიშნული):

საქმიანი (სქ), სასაწყობო (სწ-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=36):

- 4 უნიტაზი და 4 ხელსაბანი;
- 2 შხაპი;
- 3 წყლის დასალევი დისპენსერი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>პირველ სართულზე</u> (**0.00** ნიშნული):

საქმიანი (სქ) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=50):

- 3 უნიტაზი და 3 ხელსაბანი;
- 2 წყლის დასალევი დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მეორე სართულზე</u> (**3.40** ნიშნული):

საცხოვრებელი (სც-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=11):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მესამე სართულზე</u> (**6.60** ნიშნული):

საცხოვრებელი (სც-1) და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=11):

- 7 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;
- 7 შხაპი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>სახურავის ტერასაზე</u> (9.80 ნიშნული):

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=4):

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით</u>.

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და

შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ანტონ ჩეხოვის ქ. №20 და ისნის ქ. №21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.115.002) განთავსებული სასტუმროს შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი მადონა ბაკურაძე

05.08.2019 წ





დიპლომი

ЛВ № 053723

ДИПЛОМ

ЛВ № 053723

Настоящий диплом выдан Бакурадзе
Мадонне [illegible]
в том, что она в 1978 году поступила
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1984 году окончила полный курс
названного
института
по специальности
архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от 15 июня 1984 г.
Бакурадзе М.А.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П. Город Тбилиси 19 Х 1984 г.

Регистрационный № 2135

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** მადონა **გვარი:** ბაჯურაძე **დაბ. თარიღი:** 25 ნოემბერი 1960 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** 599 188 095 **ელ. ფოსტა:** bmadona@gmail.com
განათლება	1978 -1984 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა -- არქიტექტურა საკონტაქტო
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	1985 -1993 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** სსი „თბილქალაქპროექტი"-ის ქალაქგეგმარების განყოფილება **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი 1993 -1998 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** სსი „თბილქალაქპროექტი", №16 არქიტექტურული სტუდია **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი 1998 -1999 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის გენგეგმის ინსტიტუტი **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი 1999 - 2002 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი

	2002 - 2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** ქ. თბილისის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი 2004 - 2005 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** ქ. თბილისის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის ქალაქმშენებლობის პოლიტიკისა და გეგმარების განყოფილება **ორგანიზაციის პროფილი:** ქალაქგეგმარება **პოზიცია:** არქიტექტორი 2006 - 2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა„ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2007 - 2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი„ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2017 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი„ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2018 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგილამენტი **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები„**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა **პოზიცია:** ინსპექტორი